ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი

დაბა ჩოხატაური, აკაკი წერეთლის ქ. N2; Chokhatauri distict, Akaki Tsereteli st. N2; E-mail: chokhatauri.board@yahoo.com; contact@chokhatauri.ge;

N 1101
16/06/2016

1101-05-4-201606161056

მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ე“ ქვეპუნქტის, „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის, ,,მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის წესი დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 ნოემბრის N591 დადგენილების, ,,მაღალმთიან დასახლებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“- საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის N671 დადგენილებისა და მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების/შეწყვეტის საკითხის განხილვისა და შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენის მიზნით მუნიციპალიტეტის გამგებელის სათათბირო ორგანოს საბჭოს სხდომის ოქმი N65RSX00002 (13.06.2016წ.) საფუძველზე

ვბრძანებ:

1. მიენიჭოს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები ფიზიკური პირის სტატუსი მაღალმთიან დასახლებაში (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფლები: ზოტი, ჩხაკაურა) რეგისტრირებულ 12 (თორმეტი) პირს, თანდართული excel-ის ფაილის შესაბამისად.
2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე ჭავჭავაძის ქუჩა N 4.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ირაკლი კუჭავა

გამგებელი

ხელმძღვანელობა